გულშემატკივარი მაქსიმალისტია

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 11 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 2:1.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, მიქაბერიძე, გოგრიჭიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გურული ცაავა, მესხი.

“ქაირათი”: უბიკინი, შადიევი, ჯუმანოვი, კაროვენკო, ვოლგინი, ნიკოტენკო, შოხი, ლედოვსკიხი, სალიმოვი, მასუდოვი, სონი.

30–ე წთ. სონი, 32–ე წთ. გურული, 67–ე წთ. ჩივაძე.

46–ე წთ. მიქაბერიძის ნაცვლად – მახარაძე, 62–ე წთ. მესხის ნაცვლად – ჩქარეული, მე–80 წთ. ვოლგინის ნაცვლად – ბერდიევი, მასუდოვის ნაცვლად – ფეჰლევანიდი.

მსაჯი: იური სავჩენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს შადიევი.

კარში დარტყმა – 16:13 (9:5), ზუსტი დარტყმა – 8:4 (4:1), საჯარიმო მოედნიდან – 5:4 (1:2). კუთხური – 12:2 (5:1).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 5 (2), ალმა-ათელები 13 (5).

ძალიან ძლიერი ფეხბურთელებისგან შემდგარი გუნდიც ხშირად მარცხდება, როცა იგი მხოლოდ იმპროვიზაციის იმედზეა. დღევანდელ ფეხბურთში შინ მომზადებული კომბინაციების გარეშე წარმოუდგენელია სტაბილური შედეგების ჩვენება, ეს ყველამ იცის და ალბათ არც არსებობს გუნდი, უამისოდ რომ ჰქონდეს ფონს გასვლის იმედი.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ასევე ფიქრობენ თბილისის “დინამოში” და არა მარტო ფიქრობენ, ცდილობენ კიდეც, რაც შეიძლება მდიდარი იყო გუნდის ტაქტიკური არსენალი.

მაგრამ ერთია მცდელობა, მეორე – ის, რაც მინდორზე კეთდება. გუნდს უჭირს იერიშის წამოწყება, გაგრძელება და დაბოლოება. უჭირს იმიტომ, რომ ყოველი ახალი იერიში ფაქტიურად ახალი საფეხბურთო ამოცანაა, რომლის გამუდმებით სწორად და სწრაფად ამოხსნა, თანაც სათანადო ფორმულების გარეშე, მხოლოდ რჩეულთ შეუძლიათ. “ჩვეულებრივ მოკვდავთ” კი იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ყოველ წამს იქმნება მინდორზე და დახარისხებასაც ექვემდებარება, მზამზარეული ფორმულები ესაჭიროებათ. ფორმულები, რომელთა გამოყენებას არ თაკილობენ საკმაოდ დიდი სახელისა და რეპუტაციის მქონე გუნდებიც.

თბილისის “დინამოს” ყველაფერში ეტყობა, რომ ასეთი კომბინაციები ან არა აქვს (რაც ძალზე სამწუხარო იქნებოდა), ანდა, ვერ იყენებს თამაშისას (ესეც არანაკლებ სამწუხაროა). ბურთის საჯარიმოდან გატანა, მინდვრის ცენტრის გავლა რის ვაი–ვაგლახით, წვალებით ხერხდება. ბევრი ფიზიკური და ნერვული ენერგია ეხარჯებათ ფეხბურთელებს (არანაკლები – მაყურებელს). გუშინდელ მატჩში “ქაირათი” რომ “ქაირათია”, ისიც კი უფრო ელეგანტურად და სწრაფად აკეთებდა ამას. თან, ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ მართლაცდა უაღრესად საჭირო გამარჯვებაში სატრაბახო მაინცდამაინც ბევრი არაფერია.

სხვათა შორის, როცა გულშემატკივარი ხშირად შედეგზე უფრო თამაშის ხარისხზე ამახვილებს ყურადღებას, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მას ფეხბურთის მხოლოდ სანახაობრივი მხარე აინტერესებს, რომ იგი უგულებელყოფს ქულებს და ასე შემდეგ. ვფიქრობ, ამ ბოლო დროს მაყურებლის უარყოფითი რეაქცია გუნდის

ცუდ თამაშზე სწორია, უწინარეს ყოვლისა, ქულების დაგროვების თვალსაზრისით. ხარისხიანი თამაში ხომ კარგი საბოლოო შედეგის ყველაზე უტყუარი გარანტიაა!

არ ვიცი, შესაძლოა ძალზე უსიამო იყოს ამის მოსმენა, მაგრამ უთუოდ უნდა ითქვას ის, რასაც ყველა კარგად გრძნობს და ხედავს კიდეც: ასეთი თამაშით თბილისის "დინამო" იმ შედეგს ნამდვილად ვერ მიაღწევს, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს რომ დააკმაყოფილებს. რა თქმა უნდა, საქვეყნოდ არის ცნობილი ჩვენი გადამეტებული პრეტენზიების ამბავი, ჩვენს სურვილებს მართლაც არა აქვს საზღვარი, მაგრამ ამაში ფეხბურთის მოყვარულის დადანაშაულება არ შეიძლება. როცა არ არის დიდი მიზანი, თამაში ძნელიც არის და ალბათ არც ღირს.

რა თქმა უნდა, თავშისაცემი არაფერია. რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე ვერ წარიმართება, როგორც ჩვენ გვსურს. სავსებით შესაძლოა, რომ "დინამოს" ძველი გამარჯვებების გამეორება გუნდის დღევანდელი შემადგენლობის ძალას აღემატება. შეიძლება უხარისხო თამაშის მიზეზი ფეხბურთელებს მიღმა, ვთქვათ, მწვრთნელებშიც ვეძებოთ. ხომ არსებობს შეუთავსებლობის პრობლემა, საამისო მაგალითები? სხვადასხვა გუნდებში სავსებით განსხვავებული შედეგებისთვის მიუღწევიათ ერთსა და იმავე მწვრთნელებს. ერთსა და იმავე გუნდში კი აღმაფრენასაც მოსწრებიან და გაუგონარ მარცხსაც: ასეთია სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის ოკრობოკრო, ამოუცნობი და დროდადრო ალოგიკური გზა. თუმცა ამდენადვე მოულოდნელი და სასიხარულოა ამ სავალზე მოპოვებული გამარჯვებები, რისთვისაც მოთმენაც ღირს, პირადულის დავიწყებაც და ხანდახან დროისა და ენერგიის თითქოსდა უშედეგო ხარჯვაც.

ირაკლი ბერიაშვილი.

მატჩის შემდეგ თავისი აზრი გამოთქვა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რევაზ ძოძუაშვილმა:

ალმა–ათის "ქაირათთან" შეხვედრა დინამოელებმა საკმაოდ უჩვეულო ტაქტიკური სქემით დაიწყეს. ის, რაც მასპინძელთა შესრულებით მატჩის პირველ ტაიმში ვიხილეთ, ერთგვარი ცდა იყო ტოტალური ფეხბურთის თამაშისა. სხვა საქმეა, რომ ამ ექსპერიმენტში ჯერჯერობით წუნიც ბევრი გამოჩნდა, მაგრამ განა არსებობს უნაკლო ექსპერიმენტი? არზიანის არყოფნამ გამოიწვია ის, რომ სვანაძემ დაცვის მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა, ხოლო მისი ადგილი მიქაბერიძემ დაიკავა. ტოტალური ფეხბურთი, მოგეხსენებათ, წარმოუდგენელია ავტომატიზმამდე მიყვანილი ურთიერთშენაცვლების გარეშე. ასეთი სტილის მიმდევარი გუნდის მექანიზმი საათივით უნდა იყოს აწყობილი. პირველმა ტაიმმა დაგვანახა, რომ ამ მხრივ "დინამოში" ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ახლა სხვა რამეზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

კერძოდ, დინამოელთა მწვრთნელების უაღრესად სწორ და დროულ გადაწყვეტილებაზე, შესვენების შემდეგ გუნდი კვლავ მისთვის უფრო ჩვეულ კალაპოტში დაებრუნებინათ. მოთამაშეებმაც თავიანთი "საშტატო" პოზიციები დაიკავეს, რამაც საბოლოო ჯამში თბილისელ ფეხბურთელებს ესოდენ მნიშვნელოვანი ორი ქულა მოუტანა. სასიამოვნოა, რომ მწვრთნელმა საღად შეაფასა შექმნილი ვითარება და თამაშის მსვლელობაში თავისი გუნდისთვის სასიკეთო კორექტივები შეიტანა.

"ლელო", 12 ივნისი, 1985 წ.